პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

№ 5 (393)
პარასკევი
3
თებერვალი
1950 წ.
ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

ამა წლის 26 იანვარს შედგა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებია ცენტრალური საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებია მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ საფუძველზე მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა ფორმები საარჩევნო დოკუმენტებისა: კავშირის საბჭოს არჩევნების საარჩევნო ბიულეტენისა (თეთრი ფერი); მოკავშირე რესპუბლიკისაგან ეროვნებათა საბჭოს არჩევნებია საარჩევნო ბიულეტენისა (ცისფერი); ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის ან ნაციონალური ოკრუგისაგან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ბიულეტენისა (ვარდისფერი); ფორმა საოლქო საარჩევნო კომისიის ოქმისა დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ; ფორმები საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების ხმისმიცემის ოქმებისა და ფორმები კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატის არჩევის ბოლმობისა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილა და დამტკიცა ნიმუშები ბეჭდებისა: ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის; ეროვნებათა საბჭოს არჩევნებია მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ნაციონალური ოკრუგების საარჩევნო კომისიებისათვის; კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის, ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებისა და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის.

სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე საოლქო საარჩევნო კომისიებთან ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საუბნო საარჩევნო კომისიებთან საოლქო საარჩევნო კომისიების კავშირის დამყარების საკითხი.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრის წინაშე დააყენა საკითხი ყველა საუბნო საარჩევნო კომისიასთან საოლქო საარჩევნო კომისიების სათანადო სატელეგრაფო, სატელეფონო და სხვა სახის კავშირის უზრუნველყოფის საჭიროების შესახებ.

ცენტრალური საარჩევნო კომისია თავისი გადაწყვეტილებით ურჩევს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების საარჩევნო კომისიებს, აგრეთვე საოლქო საარჩევნო კომისიებს თავიანთ სხდომებზე მოისმინონ კავშირგაბმულობის სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელთა მოხსენებანი საუბნო საარჩევნო კომისიებთან საოლქო საარჩევნო კომისიების ყველა სახის კავშირის ორგანიზაციის შესახებ.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დამტკიცა საოლქო საარჩევნო კომისიებისადმი მიმართული წერილის ტექსტი.

სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე სხვა საკითხები.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკურ საარჩევნო კომისიაში

ამა წლის 1 თებერვალს შედგა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა

განხილულ იქნა საკითხი მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების უზრუნველყოფის შესახებ საარჩევნო დოკუმენტების ბლანკებით, აგრეთვე საარჩევნო ოლქებისა და საარჩევნო უბნების უზრუნველყოფის შესახებ ქაღალდით საარჩევნო ბიულეტენების დასაბეჭდად, ბეჭდებითა და საარჩევნო ყუთებით.

ჯერ კიდევ 20 იანვრამდე ადგილებზე გაგზავნა ბლანკები ამომრჩეველთა სიებისათვის, ხმის მიცემის ოქმების ფორმები საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის და „ხმის მიცემის უფლების მოწმობის“ ფორმები. საარჩევნო ბიულეტენების დასაბეჭდად საოლქო საარჩევნო კომისიებს გაეგზავნათ სათანადო ფერის ქაღალდი. როგორც საოლქო საარჩევნო კომისიები, ისე საუბნო საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფილი არიან დაწესებული ნიმუშის ბეჭდებით.

რესპუბლიკურმა საარჩევნო კომისიამ მოისმინა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის 26 კომესრის საბელობის № 146 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ამხ. გ. ლუარსაბოვის მოხსენება ოლქში ჩატარებული მუშაობის შესახებ. ყოველ საარჩევნო უბანს აქვს თავისი ნომერი. შენობა, რომელშიც მოთავსებულია საოლქო საარჩევნო კომისია, გაფორმებულია სათანადოდ. ამომრჩეველთა სიების შედგენაში დასახმარებლად საარჩევნო უბნებზე მიმაგრებული არიან საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები. მთავრდება საარჩევნო უბნების შენობათა გაფორმება. ოლქის მოსახლეობაში საგიტაციო-მასობრივ მუშაობას ეწევა 2.821 აგიტატორი.

შემდეგ კომისიამ განიხილა ცეკავშირის პრეზიდიუმის წევრის ამხ. მ. წვერავას ინფორმაცია საკანცელარიო ნივთებითა და მხატვრული გაფორმებისათვის საჭირო სხვადასხვა მასალით საოლქო საარჩევნო კომისიებისა და საუბნო საარჩევნო კომისიების უზრუნველყოფის შესახებ.

კომისიის სხდომაზე აგრეთვე განხილულ იქნა საკითხი საოლქო საარჩევნო კომისიებთან რესპუბლიკური საარჩევნო კომისიისა და საუბნო საარჩევნო კომისიებთან საოლქო საარჩევნო კომისიების კავშირის მოგვარების შესახებ. ამ საკითხზე ინფორმაციით გამოვიდა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ამხ. ი. მონიავა. რესპუბლიკურმა საარჩევნო კომისიამ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს რწმუნებულის წინაშე დააყენა საკითხი რესპუბლიკურ საარჩევნო კომისიასა და ყველა საუბნო საარჩევნო კომისიასთან საოლქო საარჩევნო კომისიების სათანადო სატელეგრაფო, სატელეფონო და სხვა სახის კავშირის უზრუნველყოფის შესახებ. საარჩევნო კამპანიის პერიოდში რესპუბლიკის შორეულ მთიან რაიონებთან შეუფერხებელი კავშირის უზრუნველყოფის საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველომ.

სხდომამ განიხილა აგრეთვე მთელი რიგი სხვა საკითხები.

4 ახალი რეკორდი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა დ-დი სპორტული საღამო. ფიზკულტურულ დარბაზში თავი მოიყარეს მასწავლებლებმა, სტუდენტებმა და სტუმრებმა — საარჩევნო უბნის დიასახლისებმა.

სპორტული საღამოს პროგრამაში შედიოდა ტანმოვარჯიშეთა, ძალოსანთა, მოკრივეთა და მოჭიდავეთა გამოსვლები.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა უნივერსიტეტის ფიზკულტურის მასწავლებელს, სპორტის ოსტატს გ. კოშაძეს (ნახევრადმძიმე წონა), რომელმაც დაამყარა სპორტსაზოგადოება „ნაუკას“ 4 საკავშირო რეკორდი. მან ორი ხელით აწია 102,05 კილოგრამი, აიტაცა 104,750 კილოგრამი და აჭარა 129,650 კილოგრამი, რის შედეგად კლასიკურ სამჭიდში დააგროვა 336,450 კილოგრამი.

გ. კოშაძემ თავისი რეკორდები მიუძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებს.

ო. ბამბისაშვილი

სპორტული საღამოები, შეჯიბრებები

სოხუმის ბავშვთა სპორტული სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები დიდი აღმავლობით ემზადებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის.

აგიტატორმა გ. ჭანტურიამ უკვე რამდენიმე მეცადინეობა ჩაატარა, იგი დიდ ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევა სპორტსმენთა შორის საარჩევნო დებულების შესასწავლად. სკოლაში მოეწყო არჩევნებისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენა.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში სპორტული სკოლა ატარებს მთელ რიგ ღონიძიებებს. იმართება სპორტული საღამოები, ტარდება შეჯიბრებები მოსწავლეთა პირველობაზე ფრენბურთსა და კალათბურთში, მოსწავლეთა რგოლური ამანათრბენი, საკვალიფიკაციო შეჯიბრება ტანვარჯიშში და სხვ.

აგიტპუნქტსა და საარჩევნო უბნებში სისტემატურად ეწყობა სპორტული სკოლის მოსწავლეთა ბრიგადების გამოსვლები.

ნ. მიქაშავიძე

სოხუმი.

ლაშქრობა თხილამურებით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მზადებასთან დაკავშირებით საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტის გადაწყვეტილებით ეწყობა საგიტაციო სამთო-სათხილამურო ლაშქრობა.

ლაშქრობა, რომელიც დაიწყება 20 თებერვალს, ჩატარდება შემდეგი მარშრუტით: ბაკურიანი—ახალციხე—ზეკარის უღელტეხილი — მაიაკოვსკი — ქუთაისი — ტყიბული—ზეკარის უღელტეხილი — ამბროლაური —ონი — მდინარე ჯოჯორას სათავე—ჯავა—სტალინირი — გორი — თბილისი.

ამჟამად გაცხოველებული მუშაობა წარმოებს მოლაშქრეთა გუნდის დაკომპლექტებისა და მისი მომზადებისათვის. ლაშქრობაში განზრახულია მონაწილეობა მიიღოს 10 გამოცდილმა მეთხილამურემ, რომელთაც ხელმძღვანელობას გაუწევს ამხ. კ. ასტახიშვილი.

გადასვლის მონაწილენი ლაშქრობის პერიოდში გზადაგზა მოსახლეობაში ჩაატარებენ საუბრებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ.

სპორტულ ნვლილი

ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში ფართოდ გაიშალა მოსამზადებელი მუშაობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის.

აქ აგიტპუნქტისათვის გამოყოფილია ლამაზად გაფორმებული ოთახი, სადაც როგორც სტუდენტებს, ისე მოსახლეობას, აცნობენ არჩევნების დებულებას. აგიტპუნქტში მრავალი საინტერესო ლექცია-მოხსენება იქნა წაკითხული სტალინური კონსტიტუციისა და არჩევნების შესახებ, ხოლო ახლო ხანში მოეწყობა ლექცია თემაზე: „საბჭოთა ქალი და მისი როლი კომუნიზმის მშენებლობაში“.

ინსტიტუტის აგიტკოლექტივი (ხელმძღვანელი დოცენტი ი. ხირსელი) 23 კაცისაგან შესდგება. მათ შორის არიან სტუდენტები, ასპირანტები და ლექტორები.

ენერგიული მუშაობით განსაკუთრებით გამოირჩევიან II კურსის ფრიადოსანი სტუდენტი კ. იარალოვი, ასპირანტი თ. მიქაბერიძე, ლექტორი ე. ლომიძე და სხვ.

სტუდენტები აქტიურ დახმარებას გაუწევენ უბნის საარჩევნო კომისიას ამომრჩეველთა სიების შემოწმებასა და დაზუსტებაში, კედლის გაზეთის გამოშვებაში. ამომრჩეველთა კულტურული მომსახურების მიზნით მოეწყობა სპორტული გამოსვლები და სხვ.

ამჟამად სტუდენტები ამზადებენ არჩევნებისადმი მიძღვნილ დიდ სპორტულ საღამოს, რომელიც 15 თებერვალს გაიმართება.

ვ. ზუმბულიძე

სტუდენტთა ნვლილი

არჩევნებისადმი მიძღვნილი კროსი

თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმში გაცხოველებული მზადებაა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დირსეულად შეხვედრისათვის.

ტექნიკუმის შენობაში მოთავსებული აგიტპუნქტი სტუდენტებმა კარგად მოაწყეს. აქ გამოფენილია საარჩევნო ლიტერატურა, კოხტად არის მოწყობილი წითელი კუთხე.

30-მდე მოსწავლე-აგიტატორი სისტემატურად ატარებს საუბრებს უბნის ამომრჩეველთა შორის. დიდი ინტერესი გამოიწვია ამას წინათ აგიტპუნქტში ჩატარებულმა ლექციამ „საბჭოთა საარჩევნო სისტემა ყველაზე დემოკრატიული სისტემაა მსოფლიოში“.

ამ დღეებში უბნის ამომრჩევლებმა დაათვალიერეს ავლაბრის ყოფილი არალეგალური სტამბა, იყვნენ ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში. მათ ინახულეს აგრეთვე დედაქალაქის სხვა ისტორიული ადგილები.

მოსწავლე-აგიტატორები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ამომრჩეველთა სიების დაზუსტებაში და კედლის გაზეთების გამოშვებაში.

არჩევნების ღირსეულად შეხვედრისათვის ტექნიკუმის დირექციამ მრავალი ღონისძიება დასახა. გაბზარულია ახალგაზრდა ამომრჩეველთა შეხვედრა ბოტ ი. გრიშაშვილთან. საღამოზე სპორტული მიღწევების ჩვენებით გამოვლენ ტექნიკუმის მოსწავლეები.

უბნის დასახლისა-ამომრჩევლებისათვის მოეწყობა ექსკურსია დიდი ბელადის სამშობლოში ქ. გორში

ტექნიკუმია სტუდენტები მოამზადებენ მიიღებენ არჩევნებისადმი მიძღვნილ კროსში, აგრეთვე ტანმოვარჯიშეთა, კალათბურთელთა და ფრენბურთელთა შეჯიბრებებში.

ვ. ფლებრიშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების გადადების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ ამა წლის მარტში მოეწყობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა:

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები გადაიდოს 1950 წლის შემოდგომამდე და ამ საბჭოებს იმავე ვადით გაუგრძელდეს რწმუნებანი.

თბილისის ქალთა მე-19 საშუალო სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა სპორტული ხელოვნების მუშაობას. ნორჩი ფიზკულტურელები გატაცებით ეუფლებიან სპორტის სხვადასხვა სახეს. **სურათზე:** ტანვარჯიშის ხელოვნების მეცადინეობა.

ფოტო ლ. დორეულისა.

„კოლმეურნის" პირველი ნაბიჯები

აფხაზეთში ჩამოყალიბდა ახალი ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „კოლმეურნე", რომლის საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. გ. ბერულავა. სპორტსაზოგადოებამ რესპუბლიკაში საინტერესო მუშაობა გაშალა. აფხაზეთის ყოველ კოლმეურნეობაში იქმნება ფიზკულტურის ძირეული კოლექტივი, კოლმეურნეები სპორტსაზოგადოების წევრები ხდებიან.

ი. არუშიძე

ხოხუმი.

* * *

ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოება „კოლმეურნემ" ფართო მუშაობა გაშალა კოლმეურნე ახალგაზრდობას შორის ფიზკულტურისა და სპორტის დასანერგავად.

სტალინირის რაიონის სოფ. ძარისა და რუსთავის საკოლმეურნეო ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ადგილობრივი სკოლების მოსწავლეთა დახმარებით მოაწყეს ახალი სპორტული ბაზები, სადაც საწვრთნელ მეცადინეობას გადიან კოლმეურნე ფიზკულტურელები და მოსწავლე-სპორტსმენები. ისინი შიდასაკოლმეურნეო და სასკოლო შეჯიბრებებს ატარებენ სპორტის სხვადასხვა სახეში.

თ. გახტაძე

სტალინირი.

* * *

ხაშურის რაიონში შეიქმნა ახალი ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „კოლმეურნე".

ამას წინათ შედგა სპორტული საზოგადოების რაიონული კონფერენცია, სადაც არჩეულ იქნა სპორტსაზოგადოების რაისაბჭო და სარევიზიო კომისია. „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. პ. კუბლაშვილი.

საბჭომ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა. გაანაწილებულია უახლოეს ხანში მოეწყოს საზოგადოებრივი კადრებას მოამზადებელი კურსები, შეიქმნას სასპორტო ბაზები კოლმეურნეობებში, სასოფლო საბჭოს ცენტრებში გაიხსნას სასპორტო ოთახები.

ხაშურში გათვალისწინებულია დიდი სასპორტო დარბაზის აშენება.

დ. ფარცოუზოვი

ხაშური.

ნოდების მინიჭება

დიდ შეჯიბრებებში ხანგრძლივი დამოუკიდებელი სამსაჯო პრაქტიკის გამო ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის გადაწყვეტილებით საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: ფეხბურთში — ნ. ჩხატარაშვილს (თბილისი, ოფიცერთა სახლი), ველოსპორტში — რ. სიმონიშვილს (თბილისი, „ბოლშევიკი"), ცურვაში — შ. მუსასტიკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასპარეზობებში

გამოვრთთბილი

დიდჯიხაიშელ სპორტსმენებთან

ზამთრის ციხკარს უთვალავი ბელტა ერიამულით ეგებება. ჭირხლით დაფარულ თვალუწვდენ საყანე მინდვრებზე მზის სხივები ვერცხლისფრად ელვარებს.

ჯარისკაცებივით ორმწკრივად განლაგებული ცადაწვდილი, დათოვლილი ნაძვის ხეების მშვენიერება გულს ახალისებს.

დასავლეთ საქართველოს სოფლებს შორის დიდი ჯიხაიში თავის მრავალფეროვნებით და ბუნების სილამაზით რეტისმეტად მომხიბლავია.

მის სახელთან დაკავშირებულია ქართველი ხალხის საამაყო შვილის ლავრენტი ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა რესპუბლიკაში.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ოთხი ჰექტარი მიწა ადამიანის გამრჯე ხელს დაუმშვენებია. ფიზკულტურელთა შრომით აგებული ფეხბურთის სტადიონი, კალათბურთისა და ფრენბურთის კეთილმოწყობილი მოედნები... ასეთ სპორტულ ბაზას დიდი ქალაქების სპორტსმენებიც კი ინატრებდნენ.

ტექნიკუმის ლამაზი შენობის წინ დიდი სტალინისა და მისი ერთგული თანამებრძოლის ლავრენტი ბერიას მონუმენტები გამოუკვეთავს მოქანდაკეს.

ტექნიკუმმა წლების მანძილზე სოფლის მეურნეობის ათასობით სპეციალისტი გამოზარდა, და განა მარტო ავრონომები?... აქ მასობრივი ფიზკულტურული საქმიანობის დარგში დიდი მუშაობაა ჩატარებული.

უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში სასწავლებელს მოუმზადებია მშთნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მრავალრიცხოვანი რაზმი—4.185 კაცი.

ხუთჯერ ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების ტრადიციული რესპუბლიკური სპარტაკიადა და ხუთჯერვე დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს. წლების მანძილზე შადასასკოლო, სარაონო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში სპორტის სხვადასხვა სახეში გამარჯვებისათვის მოპოვებული 20 სიგელი, ვერცხლისა და ბრონზის medალები, ძვირფასი საჩუქრები იმშვენებს ღვაწლმოსილი ტექნიკუმის პედაგოგიურ პერსონალს და მათ მიერ აღზრდილ დისციპლინირებულ ახალგაზრდობას — თავდადებულს სწავლასა და სპორტში.

ტექნიკუმის 360 მოსწავლეთაგან სპორტის გარეშე თითქმის არც ერთი არ დარჩენილა. ასეთი დიდი დაინტერესება ფიზიკური კულტურისადმი ადმინისტრაციის თაოსნობის შედეგია. წახალისების მიზნით სასწავლებლის ხელმძღვანელობას შადასასკოლო შეჯიბრებისას, როგორც წესი, შემოღებული აქვს გამარჯვებული გუნდისათვის თასის ან რაიმე ძვირფასი საჩუქრის საზეიმოდ გადაცემა.

შემოდგომაზე ჩვენ დავესწარით მეხილეობისა და ეკონომიური განყოფილების მოსწავლე ფიზკულტურელთა შეხვედრას ლელობურთში. კუნთმაგარი, ბრინჯაოსფერი ახალგაზრდები თავგამოდებით, ოსტატურად შეერკინენ ერთმანეთს ძვირფასი ბრონზის თასის მოპოვებისათვის. მეხილეობის განყოფილების წარმომადგენლებმა ხუთჯერ გადაისროლეს ბურთი ხაზს გადაღმა და თამაშიც მოიგეს—5:2. გუნდის კაპიტანმა მ. კაჭახიძემ საზეიმოდ გადაცემული თასის მიღებისას მთელი კოლექტივის მტკიცე ნებასურვილი გამოხატა: ამ ჯილდოს დღეადან არავის დავუთმობთო.

ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ლელობურთის, ტანვარჯიშის, მძლეოსნობის, ქართული ჭიდაობის, ჭადრაკისა და სათხილამურო სპორტის სექციებში კალენდარული გეგმის მიხედვით სისტემატურად ტარდება მეცადინეობა. ტექნიკუმის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ფიზკულტურელთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის სწორი ორგანიზაციის შედეგად ტექნიკუმელი სპორტსმენები მონდომებით ეუფლებიან მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ჩაბმული არიან სხვადასხვა ტიპის პოლიტსკოლაში, აწყობენ რეფერატებს აქტუალურ საკითხებზე და სხვ. ეს საქმიანობა განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ძნელების პერიოდში. სტუდენტი სპორტსმენები აქტიურად ჩაებნენ ამ ჰეროიტულ მუშაობაში. ისინი კოლმეურნეებს აცნობენ საარჩევნო დებულებას, ეხაურებიან მათ არჩევნების უდიდეს მნიშვნელობაზე, მხატვრულად აფორმებენ აგიტპუნქტებს და სხვ.

ტექნიკუმში მრავალია სწავლასა და სპორტში წარჩინებული ახალგაზრდა. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების მე-5 სპარტაკიადაზე მძლეოსანმა დ. ლეჟავამ გამორბენით სიგრძეზე ხტომაში (5,76 მეტრი) პირველი ადგილი დაიკავა. ვ. თევზაძემ და ვ. ვაშაკიძემ თავიანთ წონით კატეგორიებში პირველი ადგილები დაიკავეს ქართულ ჭიდაობაში. სამტრედიის რაიონში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია ტექნიკუმელი ვ. ბარკავა. მოწინავე სპორტსმენები მ. ჯინჭარაძე, მ. ვაშაკიძე, ს. ბანძავა, ნ. ფრანგიშვილი, დ. სანაია, ქ. თოდუა, ო. ნასარაია და სხვები ღღითიდღე იმაღლებენ სპორტულ ტექნიკას.

აი, აგერ ლამაზ სტენდზე სტუდენტებს გემოვნებით გაუფორმებიათ სპორტის დარგში მოპოვებული მაღწევები. მოვარაყებულ საპატიო წიგნში შეუტანიათ მოწინავე ფიზკულტურელთა გვარები და სურათები. სხვადასხვა შეჯიბრებაში მონაწილეობის ამსახველი ფოტოსურათები ნათელ წარმოდგენას იძლევიან იმაზე, თუ რა დიდი მუშაობა ჩატარდა აქ მასობრივ-ფიზკულტურული საქმიანობის დარგში, სპორტსმენთა ახალი კადრების აღზრდისათვის.

გამოცდილი მებაღის ხელში ყვავილები არ ჭკნებიან. აგერ 15 წელია, რაც სოფლის მეურნეობის სპეციალისტების გამოზრდის საქმეს ენთუზიაზმითა და საქმისადმი დიდი სიყვარულით ხელმძღვანელობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის თავდადებული მუშაკი, ტექნიკუმის დირექტორი ამხ. ბ. მიქაძე.

მას მხარში უდგანან ჭალარამოსილი, გამოცდილი მასწავლებელი, „ფიზიკური კულტურის წარჩინებულის“ ნიშნით დაჯილდოვებული ამხ. ი. ვაშაკიძე, ფიზკულტურის ინსტიტუტ-დამთავრებული, ენერგიული პედაგოგი ო. ლეჟავა და სხვები.

ასე შრომობენ, სწავლობენ და ვარჯიშობენ მრავალ ასპარეზობაში გამოწრთობილი დიდჯიხაიშელი ფიზკულტურელები.

ი. ხოშტარია

დიდი ჯიხაიში.

თხილამურებით მთაწმინდის კალთებზე

უინავს... თოვლი სასიამოვნოდ ხრაშუნობს ფეხქვეშ. რუსთაველის პროსპექტზე არაჩვეულებრივი გამოცოცხლებაა. ჭაბუკებსა და გოგონებს მხრებზე გაუწყვიათ თხილამურები და ხალისიანად მიაბიჯებენ. აი, მათ აირბინეს ბესიკის ქუჩა და ფუნიკულორის ქვედა სადგურს მიაშურეს.

...ტრამვაის ვაგონი ნელა ჩამოეშვა და გაჩერდა. შეკრებილნი აჩოჩქოლდნენ, მალე ვაგონი ნორჩი მეთხილამურეებით გაივსო. აი იგი დინჯად დაიძრა და ღოღვით აჰყვა აღმართს. ქვეითი დარჩა თხილამურების აქოჩრილი ტყე. დარჩენილნი ყიჟინითა და ქუდების ქნევით აციელებენ პირველ მგზავრებს.

ვაგონი ნელა მიიწევს ზევით. ირგვლივ თოვლის თვალუწვდენი ზღვაა. მიხვეულ-მოხვეული ბილიკები სავსეა მეთხილამურეებით, ტრამვაისთვის აღარ მოუცდიათ და შეუერევიან ნაკადად მიისწრაფვიან ზევით—დანიშნულ ადგილისაკენ.

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი სავსეა ხალხით. ზოგი აღმა მისრიალებს, ზოგი დაღმა ეშვება, პარკის ყოველი კუნჭული დასერილია თხილამურების „ლიანდაგებით“, ყოველი მხრიდან ისმის ბედნიერი მოზარდი თაობის წკრიალა ხმები.

საათის ისრები თერთმეტს უჩვენებენ. იწყება თბილისის მოსწავლეთა პირველი სათხილამურო შეჯიბრება.

სტარტზე დგებიან დედაქალაქის სკოლების მოსწავლე ჭაბუკები. ყველას გულში იდუმალი ზრახვაა — მოიპოვოს ჩემპიონის საპატიო ტიტული. ჭაბუკებს გოგონები სცვლიან, გოგონებს — უმცროსი ასაკის ბიჭუნები.

...ზამთრის მზე უძოს მთის მიღმა ჩაესვენა. მეთხილამურეთა ნაკადი არ წყდება. ზოგი ციგით ეშვება მაღლობიდან, ზოგი ციგურებით დასრიალებს. თრიალეთის მთების კალთები ვიდრე ტაბახმელამდე სავსეა თხილამურებით მოსრიალე ახალგაზრდებით.

შეჯიბრებამ, რომელმაც საღამომდე გასტანა, უამრავი მონაწილე და მაყურებელი მიიზიდა. ამ დღეს ფუნიკულორის პლატოზე 5.000-მდე კაცი იყო.

მსაჯთა კოლეგიამ შეაჯამა შედეგები: ჭაბუკებს შორის გაიმარჯვა ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის VII კლასის ფრიადოსანმა მოსწავლემ ჯემალ თაქთაქიშვილმა. მან 1.000 მეტრი გაირბინა 6 წუთსა და 30 წამში და სლალომში 200 მეტრზე აჩვენა 23,0 წამი. გოგონათა შორის მანძილი ყველაზე იდრე დაფარა ქალთა მე-6 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლემ შუნარა ცნობილაძემ (8 წუთი და 45 წამი). სლალომში გაიმარჯვა ქალთა მე-5 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლემ თამარ ფურცელაძემ (29,0 წამი). უმცროსი ასაკის ბიჭებს შორის მარულაში და სლალომში გამარჯვებული გამოვიდა ვაჟთა 21-ე საშუალო სკოლის IV კლასის ფრიადოსანი მოსწავლე ვლადიმერ მალოვიჩკო.

გამარჯვებულთ გადაეცათ სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

დ. გულისაშვილი

* * *

სურათებზე: ზევით მარცხნივ — თბილისის ქალთა მე-5 სკოლის მოსწავლე თ. ფურცელაძე ღებულობს დიპლომსა და ფასიან საჩუქარს; მარჯვნივ — უმცროსი ასაკის ბიჭებს შორის გამარჯვებული 21-ე სკოლის მოსწავლე ვ. მალოვიჩკო: ქვევით — მე-6 სკოლის მოსწავლე შ. ცნობილაძე ერთკილომეტრიან მარულის დისტანციაზე; წრეში — ჭაბუკი შორის გამარჯვებული ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის მოსწავლე ჯ. თაქთაქიშვილი.

ფოტო კ. კრიმსკისა

191 თანრიგოსანი

ციროვის სახელობას დაზგათმშენებელ ქარხანასთან არსებული № 6 სახელოსნო სასწავლებელმა კარგი სპორტული ტრადიცია დაიმკვიდრა. სასწავლებელს აქვს ფიზკულტურული მოედანი დაბრკოლებათა ზოლით, სახტომი ორმოებით და სხვ.

მოედანს არ ჩამოუვარდება სპორტული დარბაზიც აქ ყოველგვარი პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ სასწავლებელმა აღზარდოს ფიზიკურად ჯანსაღი თაობა. სახელოსნო სასწავლებლის სპორტულ სექციებში დამეგობრდნენ ბაკურიანელი გ. ბანდური და დმანისელი ვ. ნამორაძე, ასპინძელი ი. ებრალიძე და დუშეთელი დ. ილურიძე, რომლებიც წარჩინებულ სწავლას წარმატებით უთავსებენ სექციებში ინტენსიურ საწვრთნელ ვარჯიშს.

სექციების გეგმიანი მუშაობით სასწავლებელში 191 თანრიგოსანი მომზადდა.

კ. ფოცხვერაშვილი

ქართული ხალხური ფიზიკური ვარჯიშობანი

საუბარი მესამე

ხალხურ ფიზიკურ ვარჯიშობათა უდიდესი ნაწილი თავისი წარმოშობით კაცობრიობის ისტორიის უძველეს პერიოდს მიეკუთვნება. ახალგაზრდობის სამხედრო-ფიზიკური აღზრდა და „გაჩვევა“ (წვრთნა) იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი ხალხური მეთოდებით ხდებოდა. გვაროვნული წყობილების დროს საქართველოში სწავლება კოლექტიური იყო.

ქართველი მამაკაცის (მეომრის) ეთიკური კოდექსი, ჩამოყალიბებული საუკუნეების მანძილზე, პირველ რიგში, ხასიათის ისეთ თვისებათა განვითარებას მოითხოვდა, როგორიცაა პირადი გულადობა, მზადყოფნა ეარაღით ხელში სუსტის დასაცავად, სიდინჯე, სიდარბაისლე და სხვ.

რამდენადაც ხასიათის აღზრდა თავიდანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ფიზიკურსა და საბრძოლო მზადებასთან, უკანასკნელი საყოველთაო სახალხო ხასიათს ატარებდა და იმ დროს გამეფებული რელიგიის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა.

სამხედრო-ფიზიკურ აღზრდაში ჩაბმის მეთოდები საქართველოში ძველად ერთიანი არ იყო; უფრო ხშირად, ვაჟები უფროსებისადმი მიბაძვით დამოუკიდებლად ითვისებდნენ ფიზიკური ვარჯიშის ცალკეულ ხერხებს. მეორე შემთხვევაში კი ისინი პირველდაწყებით სწავლებას რომელიმე უფროსისა ნათესავის დახმარებით გადიოდნენ, რომელიც თვითონ უჩვენებდა საჭირო ილეთს, ან მთლიანად მოძრაობა-ვარჯიშს. ამ ჩვენებას ხშირად თან ახლდა განმარტება, როგორ, როდის, ან რა შემთხვევაში უნდა ყოფილიყო გამოყენებული ესა თუ ის მოძრაობა. მეტწილად სწავლების ეს ორი ფორმა შეერთებული სახით იყო წარმოდგენილი. ბავშვებს თავიდანვე შთაგონებდნენ, რომ მამაკაცი (მეომარი) აუცილებლად უნდა იყოს ჯანმრთელი, ფიზიკურად გამძლე, კარგი მორბენალი და მტყორცნელი, დაბრკოლებათა გადამლახველი. იგი კარგად უნდა ყოფილიყო დაუფლებული ყველანაირი იარაღის ხმარებას და, რაც მთავარია, მედგრობა და უშიშარობა გამოემუშავებინა. ამიტომ იყო, რომ ბავშვებს აჩვევდნენ როგორც ცალკეულ ფიზიკურ ვარჯიშებს (რბენა, ხტომები, ცურვა და სხვ.), ასევე მის კომპლექსურ სახეობებს (მოძრავი თამაშობანი — ჭიდაობა, ფარიკაობა, კრივი, ცხენოსნობა).

მაშინ, როდესაც ვარჯიშობისათვის საჭირო იყო აუცილებელი ინვენტარი, როგორიცაა, მაგალითად, ფარიკაობის დროს ხის ხმალი, რომლის გაკეთება ბიჭებს არ შეეძლოთ, ისინი მომართავდნენ ახლობელ უფროსს—პაპას, ბიძას, უფროს ძმას, მამას ან სხვას, ხოლო უბრალო საგნებს თვითონ იკეთებდნენ დამოუკიდებლად.

რომელიმე ფიზიკური ვარჯიშის შესრულების დროს ბავშვებს ესწრებოდნენ უფროსები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ და ხელმძღვანელობდნენ მათ გართობა-ვარჯიშობას. ხშირად სახალხო დღესასწაულებზე, ქეიფობისას ან სხვა თავმოყრილობის დროს უფროსები გამოუძახებდნენ მოგროვილ ბიჭებს და საკუთარი მეთვალყურეობის ქვეშ აჯიბრებდნენ სამხედრო-ფიზიკური აღზრდის სხვადასხვა სახეობაში.

ხშირად, საჭიროების შემთხვევაში, თამაშობას თუ შეჯიბრებას უფროსები შესწყვეტდნენ და თვითონ უჩვენებდნენ, თუ როგორ უნდა შესრულდეს ცალკეული ილეთი; გარდა ამისა, ახალგაზრდებს მიუთითებდნენ ხერხების საუკეთესო შემსრულებელზე და მისაბაძი მაგალითებით აჩვენებდნენ ფანდების მოქნილად შესრულებას.

ცალკეული ვარჯიშის ტექნიკის ათვისებას თან ახლდა მოქმედების ტექტიკური გააზრება, რაც გამოიხატებოდა მის დროულ და სწორ შესრულებაში.

ვინაიდან ბავშვების თავისებური სამხედრო-ფიზიკური მომზადება პატარობიდანვე იწყებოდა, დაახლოებით 15 წლის ასაკიდან ისინი უკვე თავისუფლად ეუფლებოდნენ ადგილზე გავრცელებულ ფიზიკურ ვარჯიშობებს და ამით მთავრდებოდა სწავლების პირველი ეტაპი.

ამის შემდეგ ჭაბუკი, რომელიც თავს გამოიჩენდა სხვადასხვა სამხედრო ხასიათის ვარჯიშის შესრულებაში, იღებდა სამხედრო ინარაღს და მთელი მასი შემდგომი „გაჩვევა“ მხოლოდ ამ ბაზით სწარმოებდა.

დოც. ვ. ელაშვილი,

პედაგოგიკური მეცნიერებათა კანდიდატი.

ამას წინათ დედაქალაქის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში ჩატარდა თბილისისა და ერევნის ნაკრები გუნდების სამი ამხანაგური მატჩი კალათბურთში. სამივე შეხვედრა თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა. **სურათზე:** თამაშის ერთ-ერთი მომენტი ერევნელთა ფარჭვეშ.

ფოტო კ. კრიმსკისა.

მოკლე სიგნალები ბათუმიდან

ქ. ბათუმის ბავშვთა სპორტულ სკოლასთან ჩამოყალიბებულია მოფარიკავეთა სექცია, რომელმაც მრავალი ახალგაზრდა მიიზიდა. თავდაპირველად სექცია უბრუნველყოფილი იყო საჭირო იარაღებით, რომელიც დროთა ვითარებაში ხმარებისაგან გაფუჭდა.

მიუხედავად იმისა, რომ სპორტული სკოლის დირექციის სპორტსმენებმა მრავალჯერ მიმართეს თხოვნით, მან მაინც დღემდე არ დაკმაყოფილა ახალგაზრდების ეს სამართლიანი მოთხოვნა, რის გამოც სექციის მუშაობა ჩაშლის საფრთხის წინაშე დგას.

შ. ძნელაძე

* * *

აჭარის ფიზკულტურის საოლქო კომიტეტმა ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკს“ სპორტული დარბაზი გამოუყო, მაგრამ დარბაზში არავითარი ფიზკულტურული მუშაობა არ სწარმოებს.

საჭიროა სპორტდარბაზის დროულად ამოქმედება.

დ. ჩიტაიშვილი

ბაზა სოფლად

სოფელ ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობაში დამთავრდა ახალი სპორტული ბაზის კეთილმოწყობა, რომელსაც აქვს ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები.

ბ. ალშიბაია

ზუგდიდის რაიონი.

3.700 მეტრის სიმაღლეზე

ზღვის დონედან 3.700 მეტრის სიმაღლეზე მოთავსებულია ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგური. ყაზბეგის კალთებზე მეტეოსადგურის აგების აზრი ჯერ კიდევ 1932 წლის გაზაფხულზე დაებადათ ტურიზმისა და ექსკურსიის საქართველოს საზოგადოების სამთო-სათხილამურო სადგურის ხელმძღვანელებს. ამ საკითხით დაინტერესდა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველოც.

1933 წლის შემოდგომაზე გერგეთის მყინვარის მარცხენა ნაპირზე აიგო პატარა ხის სახლი, რომელიც განკუთვნილ იქნა მაღალმთიანი ობსერვატორიისათვის, ხოლო 1934 წლის დასაწყისში იქ ავიდნენ პირველი მოზამთრეები კომკავშირელ დ. შარაშიძის ხელმძღვანელობით.

მოზამთრეებს პირველი დღეებიდანვე დიდი სიძნელეები შეხვდათ მკაცრ სტიქიონთან ბრძოლაში. ასეთ სიმაღლეზე ხშირად ამოვარდება ხოლმე ქარიშხალი, ტემპერატურა ეცემა მინუს 35 გრადუსამდე. აქ 7-8 თვეს გრძელდება ზამთარი. დიდი თოვლი ხშირად მთლიანად ფარავდა სადგურის ხის შენობას. მოზამთრეებს თითქმის არავითარი კავშირი არ მოეპოვებოდათ გარე სამყაროსთან. მაგრამ მამაცი საბჭოთა ადამიანები არ შეუშინდნენ სიძნელეებს, ისინი თავდადებით ასრულებდნენ დაკისრებულ საპატიო მოვალეობას.

1939 წელს ხის სახლის გვერდით დამთავრდა ქვის კაპიტალური შენობის აგება. იგი შედგება 24 ოთახისაგან და მოწყობილია სანიმუშოდ. აქ შექმნილია ყველა პირობა ზამთრის პერიოდში სამუშაოდ. კაპიტალური შენობის აგებით ძირფესვიანად შეიცვალა მოზამთრეთა ცხოვრებისა და მუშაობის პირობები, დაწესდა სადღეღამისო ორმხრივი რადიოკავშირი გარე სამყაროსთან, ობსერვატორია უზრუნველყოფილი იქნა უახლესი აპარატურით.

ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგურის მტკიცე, მეგობრული კოლექტივი, რომელსაც ამყარად ხელმძღვანელობს ამხ. ი. ბართოშვილი, დიდ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას ეწევა კავკასიონის მთავარი ქედის აეროკლიმატურ თავისებურებათა შესასწავლად.

მაღალმთიანი სადგურის მუშაკები, ისე როგორც ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხის მშრომელები, ენერგიულად ემზადებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნებისათვის. საქ. კ. პ. (ბ) უაზბეგის რაიკომის დავალებით მეზამთრეთა შორის საგაგიტაციო მუშაობას ეწევა სადგურის უფროსი ამხ. ბართოშვილი. მას მოზამთრეებთან უკვე ჩატარებული აქვს საუბრები შემდეგ თემებზე: „სტალინური კონსტიტუცია ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა მსოფლიოში“, „ბოლშევიკური პარტია საბჭოთა კავშირის ყველა გამარჯვებათა ხელსაჩამდგმელი და ორგანიზატორია“, „საბჭოთა მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი“ და სხვ.

აგიტატორი ყველა თავის საუბარს მტკიცედ უკავშირებს მაღალმთიანი სადგურის მუშაობის კონკრეტულ ამოცანებს. მოზამთრე ამომრჩევლებს დიდ დახმარებას უწევს სადგურის ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფილია საკმაო რაოდენობის პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურით.

12 მარტს მოზამთრეები ჩავლენ რაიონულ ცენტრში, რათა შეასრულონ თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობა — ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიოების უძლეველ ბლოკის კანდიდატებს.

კალათბურთი

ქალთა გუნდების მაჯჩები

თბილისში დამთავრდა უძლიერეს კალათბურთელ ქალთა გუნდების ტურნირი.

შეჯიბრება მიზნად ისახავდა თბილისელ ნაკრები გუნდის მომზადებას, რომელმაც თავისი ქალაქის სპორტული ღირსება უნდა დაიცვას ამიერკავკასიის რესპუბლიკების ტურნირში და სსრ კავშირის 8 ქალაქის ტრადიციულ მატჩში.

მეტად საინტერესო იყო პირველი ნაკრებია შეხვედრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდთან. ინსტიტუტელებმა თავის შემადგენლობაში გამოიყვანეს მაღალი მოთამაშეები, კარგად გამოიყენეს ზონალური დაცვა და წარმატებით მოიგერიეს ნაკრები გუნდის იერიშები. თამაში მწვავე მომენტებით ხასიათდებოდა და დამთავრდა ნაკრების სასარგებლოდ 6 ქულის უპირატესობით.

ტურნირის ცხრილში საბოლოო შედეგები ასე განაწილდა: პირველი ადგილი მოიპოვა პირველმა ნაკრებმა გუნდმა, მეორე — პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა, მესამე — მეორე ნაკრებმა, მეოთხე — ქალაქის განათლების განყოფილების გუნდმა, მეხუთე—„დინამომ“ და მეექვსე — ფიზკულტურის ტექნიკუმის წარმომადგენლებმა.

რამდენიმე სიტყვა ქალთა პირველი ნაკრები გუნდის შესახებ: თუ მას თავდასხმაში ჰყავს სწრაფი და ტექნიკურად სრულყოფილი სპორტსმენები (ებანოიძე, ბეჟანოვა, ელენტი და სხვ.), სამწუხაროდ, დაცვის ხაზზე გუნდში დაბალი ხემღლის მოთამაშენი არიან, განსაკუთრებით ეს ეხება ფარჭვეშა დამცველს, რომელიც, როგორც წესი, მაღალი უნდა იყოს. საჭიროა ამ ნაკლის გამოსწორება და აგრეთვე ზონალური დაცვის ტაქტიკის ზუსტი დამუშავება.

ლ. ძაკონსკი,

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ცვლილებები და დამატებანი თამაშის წესებში

1. ბურთის თამაშგარეთ ყოფნის დროს მოთამაშის მიერ დაშვებული პირადი შეცდომა ისჯება ერთი ტექნიკური საჯარიმო სროლით;

2. სადავო ბურთი გათამაშდება მოედნის სასურველი ადგილიდან საჯარიმო სროლის სწორკუთხედის გამოკლებით და არა უახლოეს ორი მეტრისა მოედნის გვერდით და პირითი ხაზებიდან;

3. საწყისი და სადავო სროლების შემასრულებელ მოთამაშეს შეუძლია დადგეს ნებისმიერად მოედნის თავისი ნახევრის პირველ ცენტრალურ წრეში ისე, რომ მისი სახე მოწინააღმდეგის ფარისაკენ იყოს მიმართული;

4. ბურთი, ნასროლი კალათზე უკანასკნელი საჯარიმო სროლის შესრულებისას, პირადი შეცდომისათვის და გარჩენილი კალათის ღეროზე გათამაშდება სადავო საწყისის წესით, საჯარიმო სროლის ხაზთან;

5. ურთიერთდახმარება (ფეხის დადება, ბურთის ჯგუფური ბლოკირება და სხვ.) ისჯება ერთი ტექნიკური საჯარიმო სროლით;

6. უკანასკნელ სამ წუთში პირადი შეცდომისათვის დანიშნული ორი საჯარიმო სროლისას ნებადართულია მოთამაშემ პირველი სროლა შეასრულოს და მეორე საჯარიმო სროლიდან კი უარი სთქვას;

7. მოთამაშე, რომელიც იღებს ბურთს ჰაერში, ითვლება მოედნის ამ ნაწილში, საიდანაც მან მოახდინა ახტომი;

8. ფარი უნდა იმყოფებოდეს მოედნის სიღრმეში 1,20 მეტრზე. ამის შესაბამისად საჯარიმო სროლის ხაზი უნდა გადაიწიოს პირითი ხაზებიდან 60 სანტიმეტრით;

9. საჯარიმო სროლის არეს ხაზებზე ტარდება სამი წყვეტილი ხაზი. პირველი წყვეტილი აღინიშნება 1 მეტრსა და 50 სანტიმეტრ მანძილზე პირითი ხაზიდან, მეორე და მესამე—ერთმანეთისაგან 90 სანტიმეტრის დაცილებით;

10. მსაჯის მიერ შეცდომით შეწყვეტილი თამაში უნდა განახლდეს ბურთის გვერდითი ხაზიდან შემოგდებით იმ გუნდის მოთამაშის მიერ, რომელიც ბოლო მომენტში იყო დაუფლებული ბურთს;

11. მოედნიდან გაძევებული მოთამაშის შეცვლა ნებადართულია;

12. ჯარიმის მსროლელი მოთამაშის მიერ საჯარიმო სროლის წესების დარღვევისათვის ბურთი გადაეცემა მოწინააღმდეგე გუნდს ბურთის გვერდითი ხაზიდან შემოსაგდებათ;

13. ორივე გუნდის მოთამაშეების მიერ საჯარიმო სროლის წესების დარღვევისათვის ბურთი გათამაშდება სადავო წესით, საჯარიმო სროლის ხაზთან;

14. სადავო ბურთის გათამაშებისათვის დახარჯული დრო აკლდება მატჩის საერთო დროს.

წინ მიდიან ბორჯომელები

ბაკურიანი. (ჩვენი სპეც. კორ.). 1 თებერვალს აქ დაიწყო კოლმეურნე ახალგაზრდობის მეხუთე რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება სათხილამურო სპორტში. მონაწილეობენ ბორჯომის პირველი და მეორე, სამხრეთ ოსეთის, ახალქალაქის, ახალციხის, თელავისა და დუშეთის მეთხილამურეთა გუნდები.

პირველ დღეს ჩატარდა ამანათრბენი ვაჟებისათვის 4×5 კმ. და ქალებისათვის 3×3 კმ. ვაჟთა შორის გამარჯვება ხვდა ბორჯომის რაიონის მეორე კოლექტივს ვ. მიქაბერიძის, ხ. ჯეირანაშვილის, ბ. ჯანგობეგოვისა და გ. ჯეირანაშვილის შემადგენლობით. გუნდმა მანძილი დაფარა 1 საათსა, 38 წუთსა და 12 წამში. ქალთა ამანათრბენში პირველობა მოიპოვა ბორჯომის რაიონის პირველმა გუნდმა (ვ. დიაკონაშვილი, თ. დიაკონაშვილი, მ. ბოლოთაშვილი), რომელმაც უჩვენა 1 საათი, 01 წუთი და 17 წამი.

გუშინ, შეჯიბრების მეორე დღეს ჩატარდა მარუსა ვაჟებისათვის 18 კილომეტრზე, ხოლო ქალებისათვის 5 კილომეტრზე.

დაძაბული ბრძოლების შემდეგ ვაჟთა მარუსაში გამარჯვება მოიპოვა გ. ჯეირანაშვილმა (ბორჯომის რაიონის მეორე გუნდი)—1 საათი, 28 წუთი და 56 წამი. მეორე ადგილზე გამოვიდა ვ. ფანჯაკიძე (ბორჯომის რაიონის პირველი გუნდი). ქალთა მარუსაში ყველას აჯობა ბორჯომის რაიონის პირველი გუნდის წევრმა ვ. დიაკონაშვილმა, რომელმაც მანძილი 28 წუთსა და 20 წამში დაფარა. მეორე ადგილი მოიპოვა იმავე გუნდის წევრმა თ. დიაკონაშვილმა (31 წუთი და 40 წამი).

შეჯიბრების ორი დღის შედეგების მიხედვით წინ მიდის ბორჯომის რაიონის მეთხილამურეთა პირველი ნაკრები, მეორე ადგილზეა — ამავე რაიონის მეორე გუნდი, მესამეზე — სამხრეთ ოსეთის კოლექტივი.

შეჯიბრება გასტანს 5 თებერვლამდე.

* * *

სურათებზე: ზევით — ბაკურიანის საერთო ხედი; ქვევით — საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ი. სკვორცოვის ნახტომი ბაკურიანის დიდი ტრამპლინიდან.

ფოტო შ. შიოშვილისა.

ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგური.

* * *

ჩემპიონის დამარცხება

ტალინში მიმდინარეობს ესტონეთის ჩემპიონატი კალათბურთში. შეჯიბრების პირველი წრის დამთავრების შემდეგ პირველ ადგილზე მიდის ტალინის „დინამო“, რომელიც უაღრესად მწვავე შეტაკებაში დაამარცხა სსრ კავშირის ჩემპიონი—ტარტუს უნივერსიტეტის სპორტული კლუბის გუნდი ანგარიშით 53:51.

უცხოეთში

◎ რუმინეთში გათამაშდა ფეხბურთის თასი. საფინალო მატჩში, რომელიც ბუქარესტში შედგა, ერთმანეთს შეხვდნენ არმიელთა გუნდი —კსკა და კლუჟის უნივერსიტეტის სპორტული კლუბის კოლექტივი — კსუკ. დაძაბული ბრძოლა არმიელთა სასარგებლოდ (2:1) დამთავრდა, რომელთაც გადაეცათ თასი.

◎ გესტონგსში (ინგლისი) ჩატარდა ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. აქ შესანიშნავ წარმატებას მიაღწია უნგრეთის წარმომადგენელმა ლასლო საბომ. საერთაშორისო დიდოსტატმა წაუგებლად ჩაატარა ტურნირი და 9 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა. სხვათა შორის, საბომ მოუგო პარტია მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მაქს ეიფერს, რომელიც მესამე ადგილზე გამოვიდა (5½ ქულა). მეორე ადგილი მოიპოვა საფრანგეთის მოჭადრაკემ როსოლიმომ (7½).

◎ მსოფლიოს ჩემპიონი პროფესიონალთა შორის ინგლისელი ველოსიპედისტი რ. ხერისი ამას წინათ ახალი მსოფლიო რეკორდის დასამყარებლად გამოვიდა. მან თავის მიზანს მიაღწია — 1 კილომეტრზე ადგილი დინ აჩვენა 1:09,8 (ძველი რეკორდი 1938 წლიდან ეკუთვნოდა იტალიელ ბატესინის — 1:10,0).

პასუხისმგებელი რედაქტორი
მ. კაკაბაძე

გაზეთი გამოდის პარასკევობით.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ტირაჟი 15.000

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჯაფარიძის ქ. № 4.

УЕ 01341